საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 431 2018 წლის 20 ნოემბერი ქ. თბილისი

ი. მაჭავარიანისათვის „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (თბილისის მყარი ნარჩენების პროექტი)“ ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრს ივანე მაჭავარიანს მიენიჭოს „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (თბილისის მყარი ნარჩენების პროექტი)“ ხელმოწერის უფლებამოსილება.

მამუკა ბახტაძე